



მეგრულისა და სვანურის სკოლაში შესაძლო სწავლების საკითხი და საზოგადოების განწყობა

მომხსენებელი: მარიამ ბუკია

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

განათლების კვლევები და ადმინისტრირების სამაგისტრო
პროგრამის სტუდენტი

ხელმძღვანელი: ქეთევან აფთარაშვილი

EEU-ს ასოცირებული პროფესორი

2024

განსახილველი საკითხები

- საკვლევი საკითხის მნიშვნელობა და აქტუალობა
- კვლევის მიზანი და საკვლევო საკითხები
- ლიტერატურული მიმოხილვა
- კვლევის მეთოდოლოგია
- კვლევები
- დასკვნა
- რეკომენდაციები

საკვლევი საკითხის მნიშვნელობა და აქტუალობა

- სვანური და მეგრული იუნესკოს მიერ გაქრობის საშიშროების წინაშე მდგარი ენების სიაშია შეყვანილი.
- განსაკუთრებით ბოლო პერიოდში გააქტიურდა მოსაზრება მეგრულისა და სვანურის სკოლებში სწავლების შესახებ. უფრო მეტიც ქვეყნის პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი რამდენიმე წელია რაც ამ ინიციატივით გამოდის.

“ვჩაგრავთ ჩვენი ენის ფუძე ენებს – მეგრულსა და სვანურს. რატომღაც გვეშინია, ქართულის უმდიდრეს ლიტერატურულ ენად ჩამოყალიბებაში მათი როლის აღიარება”. (2021წელი)

“გვევალება მეგრულის, სვანურის, ქანურისა და ლაზურის დაცვა და გადარჩენისთვის ზრუნვა, რამეთუ ეს ენები განუყოფელი ნაწილია ჩვენი კულტურის და წარმოადგენენ უნიკალურ სიმდიდრეს. ამას შევძლებთ, თუკი სკოლაში არჩევითი სწავლების უფლებას დავაწესებთ პირველ რიგში მეგრულისა და სვანურისათვის”. (2022წელი)

კვლევის მიზანი და თემის ირგვლივ გაჩენილი კითხვები

- ამ დრომდე არ არსებობს რაიმე სახის კვლევა, რომელიც ზოგადად, მეგრულისა და სვანურის ასევე, მათი სკოლაში სწავლების შესახებ საზოგადოების დამოკიდებულებას აჩვენებს.

საკითხის შესწავლის მიზანია საზოგადოების გამოკითხვის შედეგებიდან პასუხები გაეცეს კითხვებს:

- რა ინფორმაციას ფლობენ ადამიანები ქართველური ენების შესახებ?
- რამდენად ეთანხმებიან ქართველური ენების სკოლებში სწავლებას?
- ქართველური ენები -ქართული კულტურის საგანძურია თუ ერთი ერის შიგნით სეპარატიზმის საშუალება?

ლიტერატურის მიმოხილვა

- პრობლემურ საკითხს წარმოადგენს ზოგადად, ქართველური ენების დეფინიციის საკითხი. დღემდე მეცნიერების აზრი ორადაა გაყოფილი.
- პერიოდული გამოცემის “ლიტერატურული საქართველო” 1989 წლის 29 დეკემბრის გამოცემაში დაბეჭდილია რიგითი მოქალაქე, ვინმე ამირან კალაძის, სტატია სახელწოდებით “**შევახსენოთ, შევისწავლოთ, შევასისხოროცოთ**”

“ჩემი სურვილი, რომელიც ძალზე უბრალოა და მხოლოდ და მხოლოდ კეთილშობილური მიზნებითაა ნახარნახევი არახალია, ძველია ე,ი მარტო მე არ მეკუთვნის. დასანანიც ესაა, სურვილი რომ გვაქვს, კონკრეტული ნაბიჯი კი დღემდე ვერ გადაგვიდგამს. საქმე ეხება ქართველური ენების საფუძვლების სწავლებას ქართულ სკოლებში...აუცილებელია ახალ თაობებს დაწყებითი კლასებიდანვე შევახსენოთ, შევასწავლოთ, შევასისხოროცოთ დედაქართულის სრული სიმდიდრე...”

ლიტერატურის მიმოხილვა



- იყო თუ არა ოდესმე ქართველური ენების სკოლებში სწავლების საკითხის წამოჭრა პოლიტიკური მიზნებით მოტივირებული? ამ კითხვაზე პასუხი ცალსახად დადებითია.
- ი. სტალინი წიგნში “ მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი” ცდილობდა მეგრელები, სვანები, აფხაზები, აჭარლები და სხვა... უმწერლობო ენის მქონე დაგვიანებულ ერებად გამოაცხადებინა, გააეღვივებინა პოზიცია მეგრულისა და სვანურის სამწერლობო ენებად გადაქცევის შესახებ, თუმცა ამ პოზიციას უპირისპირდებოდა ცნობილი მეცნიერი არნოლდ ჩიქობავა.

“მეგრულ ენაზე სწავლების შემოღება თუნდაც პირველ ჯგუფში არაფრით შეიძლება გამართლებულ იქნას. სწავლება პირველ ჯგუფიდანვე ქართულ ენაზე უნდა მიმდინარეობდეს, ხოლო მეგრული ენა გამოყენებული უნდა იქნას, როგორც დამხმარე”.
(ვუკოლ ბერიძის დასკვნა)



კვლევის მეთოდოლოგია

- რაოდენობრივი კვლევის გავრცელებული მეთოდი - მასობრივი გამოკითხვა.
- ანკეტირების ტიპი, კერძოდ, თვითადმინისტრაციული (რესპონდენტებმა დამოუკიდებლად შეავსეს კითხვარი, რომელიც პირადად მივაწოდე).
- დახურული და ღია კითხვები.
- ინფორმაცია - რესპონდენტების პიროვნული, სოციალური მახასიათებლების ასევე მათი განწყობების შესახებ.
- განწყობის გასაზომი და ცოდნის შემფასებელი კითხვები.



სულ გამოკითხულთა რაოდენობა შეადგენს 100 ადამიანს




სულ გამოკითხულთა რაოდენობა შეადგენს 100 ადამიანს




სულ გამოკითხულთა რაოდენობა შეადგენს 100 ადამიანს




- საიდან გსმენიათ ქართველური ენების შესახებ?




- ქართველურ ენათა ჯგუფს მიაკუთვნებენ




- მეგრული და სვანური



- უნდა ისწავლებოდეს თუ არა მეგრული და სვანური სკოლებში?



- თუკი ეთანხმებით რომ უნდა ისწავლებოდეს, რატომ? (თუკი არ ეთანხმებით კითხვა გამოტოვეთ)
- კითხვარი შეავსო სულ 61-მა ადამიანმა



- თუკი არ ეთანხმებით რომ არ უნდა ისწავლებოდეს, რატომ? (თუკი ეთანხმებით კითხვა გამოტოვეთ)



ღია კითხვაზე პასუხები

- „მაღიზიანებს“
- „თუ მაგალიათად მეგრული ოჯახიდანაა ბავშვი ისედაც ისწავლის. არაა სკოლაში სასწავლო ეს ენები. ქართული ენა საკმარისია და დამატებით რომელიმე უცხო ენა“
- „ისწავლებოდეს, რომ ამ კუთხეებში მოხვედრისას საუბრის გაგების ბარიერი არ შეიქმნას, ელემენტარულად გავიგოთ რაზე საუბრობენ და დავიცვათ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა“.
- „მეგრულის და სვანურის სკოლაში არჩევით საგნად დამატება ხელს შეუწყობს მათ შენარჩუნებას, რამდენადაც რაც უფრო მეტი ადამიანი ისაუბრებს ამ ენებზე, მით უფრო დიდი შანსია ამის. გარდა ამისა, უკეთ შევძლებთ გავაცნოთ ეს ენები უცხოელებს ან ადგილზე ჩამოსულ ტურისტებს, რათა კიდევ უფრო მიმზიდველად წამოვაჩინოთ ქვეყანა“.


ღია კითხვაზე პასუხები

- „ის რაც ჩვენს დაუძინებელ მტერს, რუსეთს, სურს არ უნდა დავუშვათ!“
- „ჩემი აზრით, აღნიშნული ენები არჩევითობის საფუძველზე უნდა ისწავლებოდეს, რათა ხელი შეეწყოს სისტემური ლინგვისტური კვლევებისა და სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებას. გარდა ამისა, ეს უზრუნველყოფს ამ ენების გადარჩენას და არ აქცევს მათ გადაშენებულ ენებად, რისი ძრავალი შემთხვევაც მოგვეპოვება ლინგვისტიკის ისტორიაში.“
- „ჩემი აზრით, არ უნდა ისწავლებოდეს, რადგან სამყარო და განათლების სისტემა უფრო ისეთი ცოდნისკენ უნდა იყოს მიმართული, რომელსაც მომავალში უკეთესი ცხოვრებისთვის გამოიყენებს ადამიანი.“


ღია კითხვაზე პასუხები

- „ვინაიდან სახელმწიფო ენა არის ქართული, არ მოითხოვს საჭიროება მეგრული და სვანური ისწავლებოდეს სკოლებში“.
- „თუკი მეგრული და სვანური უნდა ვისწავლოთ, რატო არ ისწავლება წოვა თუშური, რომელიც ასევე განსხვავებულია ჟღერს“.
- „ჩემი აზრით სვანური "ენა" და მეგრული "ენა" დიალექტებია და არა ენები. სწავლით თუ ასწავლიან მხოლოდ მათ რეგიონებში (მეგრული სამეგრელოში ხოლო სვანური სვანეთში) და არა მთლიან საქართველოში.“


- რომელი ქართველური ენების სწავლის სურვილი გაქვთ?



- გაღიზიანებით თუ არა როდესაც მეგრულად ან სვანურად საუბარი გესმით? (როდესაც საუბრის თანამონაწილე არ ხართ)



- ქართველურ ენების, როგორც სეპარატიზმის საშუალების საკითხი



დასკვნები

- ქართველური ენების შესახებ ინფორმაციის გადაცემის თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს სკოლა ასრულებს.
- გამოკითხულთა უმეტესობა ქართველურ ენათა ჯგუფში მოიაზრებს ქართულს მეგრულსა და სვანურს ან ორ უკანასკნელს.
- მეცნიერების და მკვლევრების მსგავსად საზოგადოება მეგრულისა და სვანურის ენისთვის თუ დიალექტისთვის მიკუთვნების საკითხში ორადაა გაყოფილი.
- გამოკითხულთა უმეტესობა სვანურისა და მეგრული სკოლებში არჩევით საგნად სწავლების მომხრეა, თუმცა მინიმალურია სავალდებულო საგნად სწავლების მსურველთა რიცხვი.



დასკვნები

- არჩევით საგნად მომხრეთა უმეტესობა საკუთარ გადაწყვეტილებას კულტურული მემკვიდრეობის დაფასების მოტივით ხსნის, ხოლო მოწინააღმდეგეები მიიჩნევენ, რომ მათი სწავლება რაიმე ღირებულთან არ ასოცირდება.
- მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა უმეტესობა ეთანხმება სურვილის შემთხვევაში სკოლებში მეგრულისა და სვანურის არჩევით საგნად სწავლებას, თავად არცერთი მათგანი სწავლებასთან დაკავშირებით სურვილს არ გამოხატავს .

რეკომენდაციები

- სიღრმისეულად დაიწყოს გამოკვლევა საზოგადოებრივი ჯგუფების მეგრულისა და სვანურის სკოლებში სწავლების შესახებ, რათა გამოჩნდეს საზოგადოების ხედვა, რაში ხედავენ გამოსავალს.
- დაიწყოს საინფორმაციო კამპანიები, რომლებიც ხელს შეუწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას მეგრულისა და სვანურის როგორც კულტურული ნაწილის მიმართ.
- რადგან საზოგადოების ნაწილი მეგრულისა და სვანურის სწავლების მიღმა სეპარატიზმის საფრთხეს ხედვს. ვფიქრობ, საჭიროა ჩატარდეს კვლევა უშუალოდ ამ ორ რეგიონში, რათა განისაზღვროს თავად მეგრელებისა და სვანების დამოკიდებულება. შესაბამისად, შესაძლო საფრთხეების რეალურობა შეფასდეს არა საბჭოთა კავშირის რეჟიმის კონტექსტიდან, არამედ თავად ამ ორი კუთხის მოსახლეობის ხედვიდან.



რეკომენდაციები

- სპეციალისტების მიერ შემუშავდეს გეგმა თუ რა პრინციპითა და მეთოდოლოგიებით შესთავაზებენ მსურველებს მეგრულისა და სვანურის სწავლებას.

გამოყენებული ლიტერატურა

Moseley, C. (2010). *Atlas of the World's Languages in Danger*. Fontenoy: the United Nations Educational, Scientific and Cultural Organization.
<https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000187026/PDF/187026eng.pdf.multi>


(Endangered languages: the full list)

<https://www.theguardian.com/news/datablog/2011/apr/15/language-extinct-endangered>

გაბუნია, კ. ეზუგბაია, ლ. ქირია, ჭ. (2010). *ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში, ქართველური ენები*. თბილისი: საიმედო.

დადიანი, ე. თოდრაძე, მ. ფუტყარაძე, ტ. (2018). არნოდ ჩიქობავა სკოლაში მეგრულად და სვანურად სწავლების წინააღმდეგ / ქართველური ქვესისტემების ადგილი საქართველოს საჯარო სკოლებში/ *ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები*, VII, 54-69, თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, მოძიებულია 03.02.2024

https://dspace.nplg.gov.ge/bitstream//Kartvelologiis_Aktualuri_Problemebi_2018_N7.pdf



გამოყენებული ლიტერატურა

კალაძე, ა. (1989): შევახსენოთ, შევისწავლოთ, შევისისხორცოთ! ლიტერატურული საქართველო, 22 დეკემბერი, 16. თბილისი

(მეგრული და სვანური სკოლებში არჩევით უნდა ისწავლებოდეს –ზურაბიშვილი, 2021)
<https://netgazeti.ge/news/535231/>

(პრეზიდენტი კვლავ საუბრობს მეგრულისა და სვანურის სწავლების საჭიროებაზე, 2022)
<https://netgazeti.ge/news/605594/>

სენაკელი, ტ. (1904). მეგრული ენის გამო. ივერია, 1904, N165. თბილისი.

სტალინი, ი. (1953). მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი. თბულებანი N2 თბილისი: სახელგამი.

გმადლობთ
ყურადღებისთვის!